

ქართული, როგორც მეორე ენა

საბაზო საფეხური

წლიური პროგრამა

VII კლასი

თემა: მოგზაურობა უცხო ქვეყანაში

მინიმალური საათების რაოდენობა (დაახლოებით)

კავშირები თემატურ ბლოკებთან:

I. მე და სამყარო:

- ა) ყველაფერი ჩემ შესახებ - პირადი მონაცემები, ჰობი, ინტერესები;
- ბ) ფიზიკური გარემო - ქვეყნები და ქალაქები; მხარეები

II. სოციოკულტურა და კულტურა:

- ა) ყოველდღიური ცხოვრება - ეტიკეტი, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები;
- ბ) პიროვნებათშორისი ურთიერთობები - ურთიერთობა უცხოელ თანატოლთან;
- გ) ღირებულებები და ფასეულობები - ღირსშესანიშნაობები, დღესასწაულები, კულტურა და ტრადიციები

ტექსტები შეირჩევა და შეიქმნება თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.

სამეტყველო აქტები

ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, შეხვედრის დანიშვნა

ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად - პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; გარემოს აღწერა; გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.;

ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ - დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა (კმაყოფილება / უკმაყოფილება, გაკვირვება, ინტერესი);

ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ: დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

ენობრივი საკითხები

თანდებულები, ზმნისწინი; აქტიური და პასიური კონსტრუქცია; II კავშირებითი; ფაქტი / ვარაუდი / სურვილი; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; ნაცვალსახელები და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები - მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმება და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ცნებები

საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე თემის სწავლების პროცესში უნდა დაფიქრდეს:

<p><u>ტექსტის ტიპები</u></p> <p>ბიოგრაფიული: დღიური, მოგონებები; პრაგმატული: რეკლამა, გზამკვლევი; საინფორმაციო და შემეცნებითი: სტატიები წიგნებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან; ადაპტირებული მხატვრული ნაწარმოებები; მედია/მულტიმედია: სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან;</p> <p>სასწავლო მიზნებით შედგენილი: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები.</p> <p><u>სტრატეგიები</u></p> <p>მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიები; სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად; მეტაკოგნიტიური სტრატეგიები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. რატომ მოგზაურობენ ადამიანები? რამდენად ეხმარება ადამიანს უცხო სამყაროს გაცნობა ნაცნობის / მშობლიურის უკეთ გაგებაში ან/და პირიქით? 2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს უცხო ქვეყნის კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? რითია განპირობებული განსხვავებული ფაქტორების არსებობა? 3. რატომ არის მნიშვნელოვანი სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ? 4. არგუმენტირებულად ვაყალიბებ თუ არა ჩემს პოზიციას უცხო სოციოკულტურულ კონტექსტებზე საუბრისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა? 5. სად, როგორ და ვისთან შემიძლია გამოვიყენო ქართული ენა მოცემული თემის ფარგლებში? რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები მეხმარება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად? 6. არის თუ არა მარტივად გასაგები და აღსაქმელი ჩემი საუბარი / ნაწერი და რატომ? 7. რას ვაკეთებ ან არ ვაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო? რა სტრატეგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებს ვიყენებ ამისათვის?
---	--

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის:

- **„მრავალი მაგიდის“** მოწყობა:
 - ✓ რომელ ქვეყანაში გსურს მოგზაურობა და რატომ? გააცანი შენი არჩევანი სხვებს, დაასახელე სამი მიზეზი და დაასაბუთე შენი გადაწყვეტილება;
- **როლური თამაშების** მოწყობა (მინიდილოგების გათამაშება):
 - ✓ ა) ქალაქის ქუჩაში: აუხსენი, როგორ მივიდეს დანიშნულების ადგილამდე: რომელი გზით არის უკეთესი წასვლა, რით იმგზავროს, დაუკონკრეტე ობიექტის ადგილმდებარეობა და ა.შ.
 - ✓ ბ) ტურისტულ სააგენტოში: შესთავაზე მოგზაურობა ერთ-ერთ ქვეყანაში. დაწვრილებით აუხსენი, როდის, რამდენი ხნით, რით იმოგზაურებს, სად იცხოვრებს და ა.შ.
- **პირადი წერილების** შექმნა:
 - ✓ ა) „ყველაფერი ჩემ შესახებ“ (მაგ., სიტუაცია: გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მოსწავლე მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც ერთ-ერთ ოჯახში იცხოვრებს. მოსწავლე წერს წერილს მასპინძლებს საკუთარი თავის წარდგენის მიზნით);
 - ✓ ბ) „პასუხი მეგობარს“ (მაგ., სიტუაცია: მასთან უცხოელი მეგობარი აპირებს ჩამოსვლას. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლემ უნდა დაწეროს მოგზაურობის განრიგი - სად აპირებს მის წაყვანას, რამდენი ხნით წავლენ, რით წავლენ და რას წაიღებენ, სად იცხოვრებენ, რას ნახავენ და რატომ და ა.შ.)
- **თხრობითი ტექსტის** შექმნა: „ჩემი მოგზაურობის დღიური“ (მოგზაურობის შთაბეჭდილებების აღწერა - თხრობისა და აღწერის მონაცვლეობით);
- **რეკლამის** შექმნა და მისი პრეზენტაცია: რომელი კუთხიდან უნდა დაიწყო საქართველოში მოგზაურობა და რატომ?
- **პროექტი** „გზამკვლევის შედგენა“ (ინდივიდუალურად ან წყვილებში) - მოსწავლეები შეარჩევენ მათთვის საინტერესო ქვეყანას, მოიძიებენ შესაბამის ინფორმაციებს / ფოტოილუსტრაციებს და წარმოადგენენ პროექტის სახით (რუბრიკები: ინფორმაცია მის შესახებ - მდებარეობა; ღირსშესანიშნაობები - ბუნება, ისტორიული და კულტურული ძეგლები, ტრადიციები და დღესასწაულები, ნაციონალური სამზარეულო; დამატებითი ინფორმაცია - მაგ., ცნობილი ადამიანები ამ ქვეყნიდან, ყველაზე საინტერესო და უჩვეულო ამბავი/ისტორია ამ ქვეყნის შესახებ, მათთვის საინტერესო ინფორმაციები და სხვა);

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების, მათი განწყობებისა და ემოციების ამოცნობა;
- მოცემული კულტურულ-სოციალური გარემოსა და უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევის ეტიკეტის ამოცნობა; კონკრეტული სოციალურ-კულტურული ფასეულობების მიმართ საკუთარი / სხვების დამოკიდებულებების გაანალიზება; კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას საკუთარ შეხედულებებისა და დამოკიდებულების კორექტულად გამოხატვა;
- კონკრეტული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის დასაბუთებული ახსნა -რატომ ფიქრობს ასე; არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება; ცალკეული ქმედებების, ფაქტებისა თუ მოვლენების შეფასება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა; პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად;
- ზეპირი და/ან წერიტი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება;
- სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში.

მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც თემის სწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს:

- სხვადასხვა ქვეყნის (/კულტურის) ადამიანების ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის არსებობს მსგავსება-განსხვავებები;
- უცხო ქვეყნის კულტურულ-სოციალურ გარემოსთან შეხება და უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება ადამიანების / საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში; პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; არსებული წარმოდგენების გადაფასებაში;
- მოგზაურობაზე შექმნილი ტექსტების უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;
- ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას და/ან საქართველოს შესახებ საუბრისას.

სამეტყველო აქტები ენობრივ საკითხებთან მიმართებაში:

პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები	ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები	ძირითადი ენობრივი საკითხები
<p>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, საკუთარი თავის / სხვისი წარდგენა, მილოცვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება, თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება</p>	<p>საღამომდე! მომავალ შეხვედრამდე! მაპატიეთ! გაიცანით, ეს ჩემი . . . გიწვევ(თ) + ...-ზე/-თან/-ში</p>	<p>ფონეტიკა/მორფოლოგია/სინტაქსი</p> <p>1. ჩვენებითი ნაცვალსახელი: ეს(ესენი) _ ეგ(ეგენი) _ ის(ისინი);</p> <p>2. კითხვითი ნაცვალსახელი: სადაური? საიდან? რანაირი? როდინდელი?...</p>

<p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), ოჯახი / ნათესავები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნები / სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, გემოვნება</p>	<p>ვარ + ...-დან (საქართველოდან); დავიბადე ...წლის ...-ს (მაგ., ხუთ მაისს); მინდა გავხდე/გამოვიდე...; რისთვის? რა მიზნით? _ად: წასაკითხად, სანადიროდ, სამოგზაუროდ... მინდა/უნდა/აუცილებელია + II კავშირებითი; ვაპირებ/ვერ ვიტან წასვლას / მგზავრობას + ...-ით; ბილეთი + რის + ...-ზე (მაგ., თბილისის მატარებელზე)</p>	<p>4. სახელის წარმოქმნა: ხელობის, დანიშნულების, სადაურობის... 5. ზმნა: რთული ზმნისწინები: გადა, გადმო... მწკრივები: მყოფადი, წყვეტილი, II კავშირებითი; წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითის გამოხატვა; ქცევა: სათავისო, საარვისო, სასხვისო; 6. ზმნიზედა: დროის: უცებ, ჯერ, თავიდან, შემდეგ, მერე... ადგილის: აქეთ/იქით, პირას, შიგნით... 7. მიმღეობა (წასაკითხი, დასაწერი, დასახატი, ასაშენებელი...); 7. თანდებული: ზე/ში/დან/მდე; ცალკე მდგომი: გამო, შესახებ... 8. კავშირი: და, ან, ხან, თუ, მაგრამ... 9. ნაწილაკი: არ/ნუ; ... 10. რთული თანწყობილი წინადადება: სტრუქტურა; კავშირიანი და უკავშირო შეერთება. ორთოგრაფია/პუნქტუაცია 1. მიმართვის ფორმები საკუთარ და საზოგადო სახელებთან და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; 2. კომპოზიტების მართლწერა: შერწყმულად, დეფისით; 3. სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში; 4. პუნქტუაცია და ინტონაცია. ლექსიკა 1. სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები. ტექსტის ლინგვისტიკა 1. მეტყველების ფუნქციური ტიპები (თხრობა და მისი მახასიათებლები); 2. მონოლოგი, დიალოგი (I და II პირების მეტყველება და მათი თავისებურებები); 3. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; 4. ტექსტის კომპოზიცია (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული).</p>
<p>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</p>	<p>...-თან შედარებით უფრო/ნაკლებად/უფრო მეტად/უფრო ნაკლებად ... ; მაცვია/აცვია + ზედ. სახელი + რით (მაგ., პატარა ჯიბით)</p>	
<p>1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/უარყოფითი ემოციები (სახარული, კმაყოფილება, ბრაზი, სინანული, გაკვირვება, უკმაყოფილება, ეჭვი, ვარაუდი, შიში, ინტერესი, ინდიფერენტულობა), დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</p>	<p>ჩემი აზრით, ... როგორც ვფიქრობ, ... მე მგონია,.../არა მგონია,... მეეჭვება, არ გეთანხმები. . . უკეთესად / უარესად + ზმნა</p>	
<p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</p>	<p>ორი + ...-ის (წუთის/წლის...) განმავლობაში; აქამდე, ამ დრომდე... ორი/მთელი + ...-ით (საათით/ დღით...)</p>	
<p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილ-მდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...)</p>	<p>გადახვალ ქუჩაზე, გადაკვეთ ქუჩას; ...-ის ბოლოს/დასაწყისში/ კუთხეში..., წადი ...-მდე . . .</p>	
<p>1.7. ინსტრუქციის მიცემა: რჩევა-დარიგება, მოთხოვნა, აკრძალვა, ნებართვის მიცემა, ვალდებულება</p>	<p>აუცილებლობა: (არ) უნდა + II კავშირებითი ნების დართვა/რჩევის მიცემა: შეგიძლია (არ) + II კავშირებითი; გირჩევ (არ) + II კავშირებითი სასურველობა: იქნებ (არ) + II კავშირებითი</p>	
<p>1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზეზი, მიზანი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა</p>	<p>რატომ? რის გამო? _ ამიტომ / ამის გამო;</p>	

თემა: მე და ჩემი თანატოლები

მინიმალური საათების რაოდენობა (დაახლოებით)	
<p>კავშირები თემატურ ბლოკებთან:</p> <p>I. მე და სამყარო: ა) ყველაფერი ჩემ შესახებ - პირადი მონაცემები, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ინტერესები;</p> <p>II. სოციოკულტურა და კულტურა: ა) ყოველდღიური ცხოვრება - სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში; ბ) პიროვნებათშორისი ურთიერთობები - თანატოლებს შორის ურთიერთობები;</p> <p><i>ტექსტები შეირჩევა და შეიქმნება თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.</i></p>	
<p><u>სამეტყველო აქტები</u></p> <p>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - კომუნიკაციის დაწყება/დასრულება,თავაზიანობის გამოხატვა ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად - პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, ინტერესები / სურვილები და ა.შ.); ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ - დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა (კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი...)</p>	<p><u>ენობრივი საკითხები</u></p> <p>სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა - II კავშირებითი; აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა - წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი; შესრულებული მოქმედების გამოხატვა წარსულში - ფორმა და შინაარსი: ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება; შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი; მსაზღვრელ-საზღვრული; წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები - რა შემთხვევაში? რა პირობებში?</p>
<p>ცნებები და საკითხები</p>	<p>საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე თემის სწავლების პროცესში უნდა დაფიქრდეს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რა ინტერესები აქვთ ჩემს თანატოლებს? რამდენად ცვლის ადამიანს სხვებთან ურთიერთობა? 2. რატომ იქმნება კონფლიქტები თანატოლებს შორის? 3. რა მსგავსება და განსხვავება არსებობს სხვადასხვა ენისა და კულტურის მატარებელ ახალგაზრდებს შორის და რითია განპირობებული განსხვავებული ფაქტორების არსებობა? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ? 4. რატომ არის მნიშვნელოვანი სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება საქართველოში მცხოვრებ განსხვავებული ენისა და კულტურის მატარებელ თანატოლებთან ურთიერთობისას? 5. როგორ გამოვხატავ ჩემს აზრს / პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას კონფლიქტურ სიტუაციებში, ჩემი და
<p><u>ტექსტის ტიპები</u></p> <p>სტანდარტულ სიტუაციებში თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე საუბარი;</p> <p>ნაცნობ თემაზე შექმნილი ადაპტირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტები - დღიური, მოგონება, ინტერვიუ, პირადი წერილი;</p> <p>მულტიმედიური ტექსტი - ფორუმი;</p> <p>არაფორმალური და მარტივი ფორმალური დისკუსიები</p>	

<p><u>სტრატეგიები</u></p> <p>მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიები; სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად; მეტაკოგნიტური სტრატეგიები</p>	<p>ჩემი თანატოლების პრობლემებზე მსჯელობისას? არგუმენტირებულად ვაყალიბებ თუ არა ჩემს პოზიციას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?</p> <p>6. არის თუ არა მარტივად გასაგები და აღსაქმელი ჩემი საუბარი / ნაწერი და რატომ?</p> <p>7. რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები მეხმარება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად თანატოლებთან ურთიერთობისას?</p> <p>8. რას ვაკეთებ ან არ ვაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო? რა სტრატეგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებს ვიყენებ ამისათვის?</p>
---	--

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის, რომელთა საშუალებითაც მოსწავლემ თემის ფარგლებში შეძენილი ცოდნა უნდა წარმოაჩინოს:

- მინიდიკუსიები სხვადასხვა თემაზე, მაგალითად:
 - ა) რა უფრო მნიშვნელოვანია - წიგნი თუ კომპიუტერი და რატომ? გააცანი შენი მოსაზრება სხვებს და დასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით;
 - ბ) რატომ მოსდით თანატოლებს კონფლიქტები? დასახელე კონფლიქტის მიზეზები; ყოფილხარ თუ არა მსგავს სიტუაციებში, როგორ მოიქეცი, რა გააკეთე? როგორ გადავჭრათ პრობლემა კონფლიქტურ სიტუაციაში?
 - გ) რისი უფლება აქვთ გოგონებს (ბიჭებს) და რისი - არა? გააცანი შენი მოსაზრება სხვებს და დასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით;
- პირადი წერილების შექმნა:
 - ა) „ყველაფერი ჩემ შესახებ“ (მაგ., მოსწავლე წერს წერილს ახლადგაცნობილ უცხო ენისა და კულტურის მატარებელ თანატოლს საკუთარი თავის უკეთ გაცნობის მიზნით);
 - ბ) „რჩევა მეგობარს“ (მაგ., როგორ მოიქცეს კონკრეტულ სიტუაციაში / ახალ კლასელთან წარმოქმნილი კონფლიქტის დროს? და ა.შ.)

თხრობითი ტექსტის შექმნა: „ჩემი დღიური“ (თხრობისა და აღწერის მონაცვლეობით);
- მინიკვლევის ჩატარება და კვლევის შედეგების პრეზენტაცია, მაგალითად: „მოზარდები და მავნე ჩვევები“;
- პრექტი „ჩვენ ვიცავთ ჩვენს უფლებებს!“ (ჯგუფებში) – (მაგ., რისი გაკეთების უფლება აქვთ და რისი - არა ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში და ა.შ.). მოსწავლეები ჩამოწერენ ფორმატზე საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს, კონკრეტულ სურვილებსა და ვალდებულებებს; გააფორმებენ ფორმატს ფოტოილუსტრაციებით და წარადგენენ კლასში.
- გამოფენის მოწყობა - „ისინი ჩემი მეგობრები არიან...“ (აღწერენ, ახასიათებენ, საუბრობენ მათ შესახებ და ა.შ.)
- ფილმების ნახვა და გარჩევა / დისკუსია პერსონაჟთა ქცევის მოტივებზე, მათ შორის არსებულ ურთიერთობებზე და სხვა (მაგ., ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები - „ზღარბი“; „ზუზუ“ - <https://www.youtube.com/watch?v=-FgSyKVSHvQ>)

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების, მათი განწყობებისა და ემოციების ამოცნობა;
- მოცემული კულტურულ-სოციალური გარემოსა და უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევის ეტიკეტის ამოცნობა; კონკრეტული სოციალურ-კულტურული ფასეულობების მიმართ საკუთარი / სხვების დამოკიდებულებების გაანალიზება; კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას საკუთარ შეხედულებებისა და დამოკიდებულების კორექტულად გამოხატვა;
- კონკრეტული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის დასაბუთებული ახსნა -რატომ ფიქრობს ასე; არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება; ცალკეული ქმედებების, ფაქტებისა თუ მოვლენების შეფასება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა; პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად;
- ზეპირი და/ან წერილი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული

საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება;

- სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში.

მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც თემის სწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს:

- უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება სხვადასხვა კულტურის მქონე თანატოლებთან ურთიერთობაში; სხვების / საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში; პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; არსებული წარმოდგენების გადაფასებაში;
- ნებისმიერი ეროვნებისა და კულტურის მქონე ბავშვს აქვს მსგავსი ინტერესები და საერთო უფლებები;
- თანატოლებზე შექმნილი ტექსტების უკეთ გასაგებად შემიმძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;
- ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საქართველოში მცხოვრებ განსხვავებული ენისა და კულტურის მატარებელ თანატოლებთან ურთიერთობისას.

სამეტყველო აქტები ენობრივ საკითხებთან მიმართებაში:

პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები	ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები	ძირითადი ენობრივი საკითხები
<p>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, წარდგენა, მოკითხვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, მილოცვა/კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება</p>	<p>მოგესალმებით! აბა, ჰე! კარგად! თუ შეიძლება, + მყოფ. (Iპ.- დაწერ) / წყვეტ. (IIპ.- დაწერ) / II კავშ. (IIIპ. დაწეროს); ინებეთ! გთხოვთ, მობრძანდეთ + ...-ზე/-თან/-ში; (მალიან) მაგარი ხარ! უკეთესია!</p>	<p>მორფოლოგია/სინტაქსი 1. მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციები: მიზეზის (შიშით თვალეზი დაუბნელდა)... 2. ჩვენებითი ნაცვალსახელი: ასეთი/ისეთი; ამნაირი / იმნაირი... 3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი: თავისი/თავიანთი _ (ი)მისი/(ი)მათი; 4. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი: ყველა, სხვა, თვითონ... 4. ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოება: მოტკბო _ ტკბილი _ უტკბესი; 5. ზმნა: პირი: ობიექტური პირების გამოხატვა; მწკრივები: უწყვეტელი, ხოლმეობითი; თავისებური ზმნები; 6. ზმნიზედა: ვითარების: სწრაფად, ძლიერ, ნელა, უკეთ, უცებ, ასე, ისე... 7. მიმღეობა (წაუკითხავი, დაუწერელი, დაუხატავი, აუშენებელი...); 7. თანდებული: ვით...</p>
<p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები /სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, საკუთრება, გემოვნება</p>	<p>ეროვნებით ვარ ... ჩემი ჰობია + საწყისი; მომწონს + ...-ობა (ექიმობა) ჩემი მიზანია/სურვილია + II კავშირებითი; საჭიროა/აუცილებელია + საწყისი; ...-იანი / უ _ ო ამინდია; მოსალოდნელია + ...-იანი / უ _ ო (ქარიანი / უქარი) ამინდი; (ეს) მე მეკუთვნის; გადის + ...-ის სადგურიდან + ...-ის მიმართულებით; ჩემი / გიორგ-ის გემოვნებით</p>	

<p>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</p>	<p>...-ვით + ზედ. სახ. (ლომივით ძლიერი, ვარდივით ლამაზი...) // ზედ. სახ., + როგორც + არს. სახ. (ძლიერი, როგორც ლომი...); (ეს) ოდნავ ...-ა, ვიდრე (ის); ისე _ როგორც, ისეთი _ როგორიც; მაცვია/აცვია + არს. სახელი, რომელსაც აქვს (რომელიც არის) ... ;</p>	<p>8. კავშირი: რომ, როდესაც, როცა, სანამ... ხოლმე... 9. ნაწილაკი: არ/ნუ; განა, ნუთუ... 10. მსაზღვრელ-საზღვრული: რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან; 11. რთული ქვეწყობილი წინადადება: სტრუქტურა; კავშირიანი და უკავშირო შეერთება; 12. უნახავი მოქმედების გამოხატვა: თურმე + უწყვეტ. / წყვეტ.; 13. მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა: აწმყო / უწყვეტ. + ხოლმე</p>
<p>1.4. გრძობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/ უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</p>	<p>მშვენიერია / საოცარია...; საშინელებაა! ეს (კარგად/ცუდად) ჩანს ამ ...-დან/მისი ...-დან; ჩემი ვარაუდით,-დან გამომდინარე, . . . ; შესაბამისად, . .</p>	<p>ორთოგრაფია/პუნქტუაცია 1. მსაზღვრელის ადგილი წინადადებაში (დიდი ორი ბიჭი თუ ორი დიდი ბიჭი); 2. თვის თუ გამო? 3. თავისი თუ მისი? 4. სასვენი ნიშნების ხმარება რთულ თანწყობილ წინადადებაში; 5. სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა;</p>
<p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</p>	<p>როდის-თვის + ზმნა (წარსულსა და მომავალში) (ორისთვის ვიყავი/ვიქნები...) აწმყო/უწყვეტელი + ხოლმე (ვწერ ხოლმე. . .);</p>	<p>1. მსაზღვრელის ადგილი წინადადებაში (დიდი ორი ბიჭი თუ ორი დიდი ბიჭი); 2. თვის თუ გამო? 3. თავისი თუ მისი? 4. სასვენი ნიშნების ხმარება რთულ თანწყობილ წინადადებაში; 5. სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა;</p>
<p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა</p>	<p>შევიდა + ...-ში, გავიდა + ...-დან . . . როგორ მივიდე ...-მდე? წახვალ ... ქუჩით;</p>	<p>1. მსაზღვრელის ადგილი წინადადებაში (დიდი ორი ბიჭი თუ ორი დიდი ბიჭი); 2. თვის თუ გამო? 3. თავისი თუ მისი? 4. სასვენი ნიშნების ხმარება რთულ თანწყობილ წინადადებაში; 5. სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა;</p>
<p>1.7. ინსტრუქციის მიცემა: რჩევა-დარიგება, მოთხოვნა, აკრძალვა, ნებართვის მიცემა, ვალდებულება</p>	<p>ვალდებული ვარ (ხარ, არის/ა), (რომ) + II კავშირებითი; ამისათვის/ გასაკეთებლად საჭიროა + საწყისი ...-თვის/-ად საჭიროა, (რომ) + II კავშირებითი;</p>	<p>ლექსიკა 1. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (დანართი და ჩართული); 2. სიტყვაწარმოება (როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება); 3. ერთ და მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები.</p>
<p>1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი</p>	<p>რატომ/რის გამო? იმის გამო..., რომ + ...; იმიტომ კი არა, რომ + II კავშ., არამედ იმის გამო, რომ + II კავშ.; რისთვის/რა მიზნით? იმისათვის + ზმნა (აწმყო/წყვეტ.), რომ + II კავშირებითი; იმისათვის, რომ + II კავშირებითი, უნდა/საჭიროა + II კავშირებითი; თუ + მყოფადი, მაშინ + მყოფადი; თუ + აწმყო, მაშინ + ნუ აწმყო/მყოფადი</p>	<p>ტექსტის ლინგვისტიკა მეტყველების ტიპები (აღწერა და მისი მახასიათებლები _ I, II და III პირის მეტყველება და მათი გამოყენების სფეროები და თავისებურებები);</p>

თემა: პროფესიული არჩევანი

მინიმალური საათების რაოდენობა (დაახლოებით)	
<p>კავშირები თემატურ ბლოკებთან:</p> <p>III. მე და სამყარო: ა) ყველაფერი ჩემ შესახებ - პირადი მონაცემები; ჰობი, ინტერესები; მომავლის დაგეგმვა / არჩევანის გაკეთება</p> <p>IV. სოციოკულტურა და კულტურა: ღირებულებები და ფასეულობები - კულტურა და ტრადიციები, პროფესიული ჯგუფები, უმცირესობები - ეთნიკური/რელიგიური</p> <p>ტექსტები შეირჩევა და შეიქმნება თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.</p>	
<p><u>სამეტყველო აქტები</u></p> <p>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა</p> <p>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად - პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; საქმიანობის აღწერა/ დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება - საქმიანობა, ჰობი, ინტერესები, გეგმები/განზრახვა</p> <p>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ - დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა (კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...</p>	<p><u>ენობრივი საკითხები</u></p> <p>პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში - სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა;</p> <p>ზმნის აქტიური და პასიური ფორმები;</p> <p>სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა - II კავშირებითი / ხოლმეობითი;</p> <p>შეუსრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში - არ/ვერ + წყვეტილი, I თურმეობითი;</p> <p>საწყისი და მიმდებარე და მათი ფუნქციები წინადადებაში;</p> <p>რთული სინტაქსური კონსტრუქციები - კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში;</p> <p>აქტიური და პასიური კონსტრუქციები;</p> <p>პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები - რა შემთხვევაში? რა პირობებში?</p> <p>რიცხვითი სახელების მართლწერა - რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით;</p> <p>ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში</p>
ცნებები და საკითხები	<p>საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე თემის სწავლების პროცესში უნდა დაფიქრდეს:</p>
<p><u>ტექსტის ტიპები</u></p> <p>სტანდარტულ სიტუაციებში თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე საუბარი;</p> <p>ნაცნობ თემაზე შექმნილი ადაპტირებული მხატვრული ტექსტები;</p> <p>საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV);</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. რას ნიშნავს პროფესიის არჩევა? რთულია თუ არა არჩევანის გაკეთება და რატომ? რატომ უჭირთ შენს თანატოლებს სწორი გადაწყვეტილების მიღება? რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა პროფესიის არჩევისას? 2. რა როლს ასრულებს სოციოკულტურული გარემო პროფესიის არჩევისას? არის თუ არა მნიშვნელოვანი სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?

<p>ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი; კორესპონდენცია - მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები; არაფორმალური და მარტივი ფორმალური დისკუსიები</p> <p><u>სტრატეგიები</u></p> <p>მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიები; სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად; მეტაკოგნიტიური სტრატეგიები</p>	<ol style="list-style-type: none"> 3. სად, როგორ და ვისთან შემიძლია გამოვიყენო ქართული ენა პროფესიული წინსვლის მისაღწევად? რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად? 4. არგუმენტირებულად ვაყალიბებ თუ არა ჩემს პოზიციას ჩემი გადაწყვეტილებების შესახებ? რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა? 5. არის თუ არა მარტივად გასაგები და აღსაქმელი ჩემი საუბარი / ნაწერი და რატომ? 6. რას ვაკეთებ ან არ ვაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივაღწიო? რა სტრატეგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებს ვიყენებ ამისათვის?
--	---

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

- „მრგვალი მაგიდის“ მოწყობა (მოსწავლემ უნდა გამოხატოს საკუთარი პოზიცია და დასაბუთოს შესაბამისი არგუმენტებით; ასევე არგუმენტირებულად უნდა შეაფასოს სხვების პოზიციები):
 - ა) სწორია თუ არა დებულებები - „ის პროფესია უნდა აირჩიო, რაშიც წარმატებული იქნები“; „ მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნები, მთავარია, პროფესია გქონდეს“ და ა.შ.
 - ბ) არსებობს თუ არა პოპულარული პროფესიები და რა განსაზღვრავს მათ პოპულარობას?
- საქმიანი ქალაქდების შექმნა:
 - ა) სამოტივაციო წერილის შექმნა - მოსწავლე უნდა გაეცნოს ერთ-ერთი პროფესიული კოლეჯის რეკლამას, აირჩიოს მისთვის სასურველი სპეციალობა და დაწეროს სამოტივაციო წერილი კოლეჯის ხელმძღვანელის სახელზე; ასევე საკუთარი კლასელისთვის შეარჩიოს შესაფერისი პროფესია და მისი სახელით დაწეროს სამოტივაციო წერილი;
 - ბ) სხვადასხვა განცხადების შექმნა საკომუნიკაციო სიტუაციების გათვალისწინებით (მაგ., 1. გინდა, რომ რამდენიმე დღით სკოლიდან გაგათავისუფლონ. მიუთითე სათანადო მიზეზი და სწორად განსაზღვრე განცხადების ადრესატი; 2. გინდა შენს რეგიონის კულტურის სახლში არსებულ შემოქმედებით წრეზე სიარული. განცხადების ადრესატია კულტურის სახლის დირექტორი.
 - გ) საკუთარი რეზიუმეს (CV) შედგენა;
- ბიოგრაფიული ტექსტების წერა: საკუთარი ბიოგრაფიის შედგენა და შემდეგ მისი გადაკეთება ავტობიოგრაფიად;
- პროექტი „უცნაური, იშვიათი და საინტერესო პროფესიები“ (ინდივიდუალურად ან წყვილებში)
- მინიკვლევების ჩატარება და კვლევის შედეგების პრეზენტაცია:
 - ა) რას ირჩევენ ჩემი თანატოლები და რატომ?
 - ბ) რომელი პროფესიებია ჩემს რეგიონში პოპულარული და რატომ?

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების, მათი განწყობებისა და ემოციების ამოცნობა;
- მოცემული კულტურულ-სოციალური გარემოსა და უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევის ეტიკეტის ამოცნობა; კონკრეტული სოციალურ-კულტურული ფასეულობების მიმართ საკუთარი / სხვების დამოკიდებულებების გაანალიზება; კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას საკუთარ შეხედულებებისა და დამოკიდებულების კორექტულად გამოხატვა;
- კონკრეტული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის დასაბუთებული ახსნა -რატომ ფიქრობს ასე; არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება; ცალკეული ქმედებების, ფაქტებისა თუ

მოვლენების შეფასება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა; პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად;

- ზეპირი და/ან წერიტი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება;
- სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში.

მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც თემის სწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს:

- უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; მცდარი წარმოდგენების გადაფასებაში; საკუთარი პროფესიული არჩევანის სწორად განსაზღვრაში;
- პირადი ინტერესებისა და სურვილების გარდა, პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანია შესაბამისი ცოდნისა და უნარების გათვალისწინება;
- საქმიანი ქაღალდებისა თუ სხვა ოფიციალური ტექსტების უკეთ შესაქმნელად შემოიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და წერის სტრატეგიების ცოდნა;
- ნასწავლი ლიტერატურის, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან ურთიერთობებისას.

სამეტყველო აქტები ენობრივ საკითხებთან მიმართებაში:

პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები	ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები	ძირითადი ენობრივი საკითხები
<p>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, მილოცვა/კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მოზოდობა</p>	<p>გაუმარჯოს! დროებით! ხომ კარგად ბრძანდებით? ბოდიშს გიხდით. გემუდარებით! ხომ არ + (ინებებთ / მიირთმევთ / წამობრძანდებით...)? ...-ად გამოგდის! (თურმე) ...-ად (კარგად/მშვენივრად...) შეგიძლია;</p>	<p>მორფოლოგია/სინტაქსი 1. მიმართებითი ნაცვალსახელი (აგებულება და ფუნქცია); 2. ზმნა: ზმნის მარტივი და რთული ფორმები; მწკრივები: აწმყოს კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი; კონტაქტი: წარმოება და ფუნქცია; თავისებური ზმნები; ნასახელარი ზმნები: ცხელდება/ აცხელეს;</p>
<p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები /სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა,</p>	<p>მე გახლავართ-ის/-ს მოქალაქე ვარ; საჭიროა/ჯობია/აჯობებს, (რომ) + II კავშირებითი; გირჩევ/არ გირჩევ, (რომ) ეს + II კავშირებითი; (გუშინდელთან...) შედარებით ცუდად/კარგად ვარ;</p>	<p>3.საწყისი და მიმდებარე; 4. მაქვემდებარებელი კავშირები; 5. მსაზღვრელ-საზღვრული (მსაზღვრელის მსაზღვრელი); 6. რთული ქვეწყობილი წინადადება (დამოკიდებული წინადადების სახეები და მათი ფუნქციები).</p>

<p>მგზავრობა/მოგზაურობა, საკუთრება</p>	<p>... ჩემი კუთვნილებაა; ცვალებადი ამინდია; მოსალოდნელია ცვალებადი (-იანი/უ-ო) ამინდი;</p>	<p>ორთოგრაფია/პუნქტუაცია 1. სასვენი ნიშნების ხმარება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; 2. მსაზღვრელის ადგილი წინადადებაში;</p>
<p>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</p>	<p>საწყისი (მიც.-ში) + მიმღება (მაგ., სიზარმაცეს შეჩვეული); უხასიათოა; რამდენადაც _ იმდენად (მაგ., რამდენადაც ლამაზია, იმდენად ცუდი ხასიათი აქვს/უხასიათოა);</p>	<p>3. ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; 4. მოკვდებიან თუ დაიხოცებიან?</p>
<p>1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</p>	<p>შესანიშნავია! სასურველია! საშინლად ვარ; შესანიშნავად ვარ; ძალიან ვწუხვარ, რომ . . . როგორც ჩანს/ამბობენ/მგონია...; გეთანხმები/არ გეთანხმები! არა მგონია, ასე/ისე იყოს! ...-(ი)დან გამომდინარე;</p>	<p>ლექსიკა 1. სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; 2. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება; 3. სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; 4. კომპოზიტი.</p>
<p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</p>	<p>-ისთანავე (საწყისი ნათ-ში + თანავე: წასვლისთანავე, გაღვიძებისთანავე...);</p>	<p>ტექსტის ლინგვისტიკა 1. მეტყველების ტიპები (მსჯელობა და მისი მახასიათებლები); 2. ავტორისეული მეტყველება 3. წინადადებათა აზრობრივი გადაბმა.</p>
<p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა</p>	<p>აღმოსავლეთით // აღმოსავლეთისკენ... წახვალ/წამოხვალ ... ქუჩით;</p>	
<p>1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი</p>	<p>რა მიზეზით? _ ამ მიზეზით; ...-ის მიზეზით; რის გამო? _ ...-ის გამო//...-ით (შიშის გამო // შიშით); რა მიზნით? _ ...-ის მიზნით; იმდენად _ რამდენადაც; ვინ/როგორი რომ ვიქნები, + რას ვიზამ? (მყოფადი) ვინ/როგორი რომ ვიყო, + რას ვიზამდი? (ხოლმეობითი);</p>	